სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 15 დეკემბერი, 2023
სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
მისამართი: დისტანციურად (Zoom პლატფორმის გამოყენებით)
სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცინო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე, მარიამ კუბლაშვილი, ნათია კორკოტაძე, როინ მიგრიაული, ია გაბედავა.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) მარი გობეჩიას, მარი მარტყოფლიშვილის, გვანცა გოგსაძის, ნინო დობაძიშვილის, გრიგოლი კიკაბიძის, ეთერ სამნიაშვილის, თინათინ ფეიქრიშვილის, მარიამ გობრონიძის, დემეტრე ნოზაძის, მარიამ დუმბაძის და მარიამ ქავთარაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ

სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარი გობეჩიას, მარი მარტყოფლიშვილის, გვანცა გოგსაძის, ნინო დობაძიშვილის, გრიგოლი კიკაბიძის, ეთერ სამნიაშვილის, თინათინ ფეიქრიშვილის, მარიამ გობრონიძის, დემეტრე ნოზაძის, მარიამ დუმბაძის და მარიამ ქავთარაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) თამთა ჭანტურიას განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ თამთა ჭანტურიას განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული ქონდა 2013 წლის 04 დეკემბერს, მაგრამ არ ჰქონდა წარმოდგენილი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

წევრები გაეცნენ თამთა ჭანტურიას მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნეს, რომ 2019 წლის 1-ლი იანვრიდან „ადვოკატთა შესახებ“კანონში შესული ცვლილების თანახმად, ერთ-ერთი სავალდებულო მოთხოვნაა 1-წლიანი ადაპტაციის პროგრამის გავლა, რომელიც შედგება 3 თვიანი თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). შესაბამისად, 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 1. არ დაკმაყოფილდეს თამთა ჭანტურიას განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო.

2. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ხათუნა ხითარიშვილის, ეგროსი ახალაიას და იოსებ ჯანაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხათუნა ხითარიშვილის, ეგროსი ახალაიას და იოსებ ჯანაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ნინო დობაძიშვილის, მაკა ლოლიაშვილის, გვანცა ცუხიშვილის, მარიამ პირველის, რატი გზირიშვილის, სოფიკო თაფლიაშვილის, ლიანა კვანტალიანის, ლაშა წიკლაურის, ირმა ხელაძის, ანა ყოჩიაშვილის, თეონა ზაქარეიშვილის, სოფიო სირაძის, რევაზ სულწაძის, გურანდა ჭანიძის, მაია წიწილაშვილის, თორნიკე გოგელიას, ნათია გოგალაძის, ირაკლი წულაძის, ანნა კახოშვილის, თეონა გოზალიშვილის, თამთა ზაქარაიას და ანა აბრამიძის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს
კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო დობაძიშვილის, მაკა ლოლიაშვილის, გვანცა ცუხიშვილის, მარიამ პირველის, რატი გზირიშვილის, სოფიკო თაფლიაშვილის, ლიანა კვანტალიანის, ლაშა წიკლაურის, ირმა ხელაძის, ანა ყოჩიაშვილის, თეონა ზაქარეიშვილის, სოფიო სირაძის, რევაზ სულწაძის, გურანდა ჭანიძის, მაია წიწილაშვილის, თორნიკე გოგელიას, ნათია გოგალაძის, ირაკლი წულაძის, ანნა კახოშვილის, თეონა გოზალიშვილის, თამთა ზაქარაიას და ანა აბრამიძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრობის მსურველი კანდიდატების რეგისტრაცია.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის წესდების 13^1.1. პუნქტის თანახმად, 2023 წლის 05 დეკემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით ასოციაციას მომართა აღმასრულებელი საბჭოს წევრობის მსურველმა 9 (ცხრა) კანდიდატმა. ასოციაციის წესდების 13^1.1. პუნქტის და „ადვოკატთა შესახებ “საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ყველა მათგანს წარმოდგენილი ჰქონდა საჭირო საბუთები და ინფორმაცია.

წევრებმა განაცხადეს, რომ ასოციაციის წესდების 13^1.3. პუნქტის თანახმად, ასოციაცია უზრუნველყოფს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სავალდებულო

მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმებას. თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს კანონმდებლობისა და წესდების მოთხოვნებს, აღმასრულებელი საბჭო უზრუნველყოფს მსურველის რეგისტრაციას კანდიდატად და შეაქვს საარჩევნო ბიულეტენში.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს წევრობის მსურველ ერთ კანდიდატს - მანუჩარ ჭუმბურიძეს, შეჩერებული აქვს უფლებამოსილება აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე და იგი დღესაც არ არის მოქმედი წევრი.

წევრებმა განმარტეს, რომ ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, ადვოკატი არ შეიძლება არჩეულ იქნეს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის ან სარევიზიო კომისიის წევრად თუ: (ა) შეუსრულებელი აქვს სასამართლო წესით დაკისრებული ქონებრივი ვალდებულება; (ბ) ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში; (გ) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დადებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი ან უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა ასოციაციის წევრობა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ სხდომაზე წარმოდგენილი 8 (რვა) აღმასრულებელი საბჭოს კანდიდატი (დიანა გვიშიანი, სალომე კალაიჯიშვილი, ლევან კობერიძე, შოთა მანელიძე, პაატა მეხრიშვილი, მონიკა რუხაძე, თამილა ქუთათელაძე, ლევან ჭიღლაძე) აკმაყოფილებდა კანონმდებლობის და წესდების მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 13[1].3. პუნქტის თანახმად, სხდომაზე წარმოდგენილი აღმასრულებელი საბჭოს წევრობის მსურველი განმცხადებლები - დიანა გვიშიანი, სალომე კალაიჯიშვილი, ლევან კობერიძე, შოთა მანელიძე, პაატა მეხრიშვილი, მონიკა რუხაძე, თამილა ქუთათელაძე და ლევან ჭიღლაძე დარეგისტრირდნენ კანდიდატად და შეყვანილ იქნან საარჩევნო ბიულეტენში.

(ბ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 13[1].3. პუნქტისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სხდომაზე წარმოდგენილი აღმასრულებელი საბჭოს წევრობის მსურველ - მანუჩარ ჭუმბურიძეს, უარი ეთქვას კანდიდატად რეგისტრაციაზე.

საკითხი 5. საქართველოს არბიტრთა ასოციაციის კურსის აკრედიტაციის შესახებ განაცხადის განხილვა.

წევრები გაეცნენ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის კურსის აკრედიტაციის განცხადებას.

მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს საჭირო დოკუმენტაცია და აკმაყოფილებს აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

(ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის განცხადება კურსის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(გ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

საკითხი 6. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ლალი ელუაშვილის და ნათია ჯანელიძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ლალი ელუაშვილის და ნათია ჯანელიძის კანდიდატურები.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 7. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) გივი პაპუაშვილის განცხადებას.

განცხადებით მოთხოვნილია საწევრო შეღავათის გავრცელება 2019 წლიდან და ზედმეტად გადახდილი საწევრო - 500 (ხუთასი) ლარის გადანაწილება და 2028 წლის საწევრო გადასახადის გადახდილად ჩათვლა. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ გივი პაპუაშვილი არის პენსიონერი 2016 წლიდან.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1-ლი თებერვლის, 2007 წლის 31 მაისის, 2010 წლის 19 მაისის, 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებებში და განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები ისარგებლებენ საწევრო შეღავათებით, შესაბამისად გივი პაპუაშვილის განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:
1. გივი პაპუაშვილის განცხადება და განმცხადებელს 2028 წლის ჩათვლით საწევრო შენატანი ჩაეთვალოს გადახდილად.

2. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

3. მიღებული გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს ფინანსურ მენეჯერს.

(ბ) ნათია ფეიქრიშვილის განცხადებას.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ამ ეტაპზე ვერ ახერხებდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საფასურის გადახდას თეორიული კურსის დასრულებამდე და ითხოვდა დარჩენილი საფასურის გადავადებას 2024 წლის 29 თებერვლამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნათია ფეიქრიშვილის განცხადება და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დარჩენილი საფასურის გადახდა გადაუვადდეს 2024 წლის 29 თებერვლამდე.

(გ) სალომე გოგლიძის განცხადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ სალომე გოგლიძე არის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 2023 წლის გაზაფხულის ნაკადის მონაწილე და ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში სტაჟირება უნდა დაეწყო 2023 წლის 19 ივლისიდან.

წევრებს ასევე, მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს არ მოუმართავს ასოციაციისთვის სტაჟირების გადავადების განცხადებით და სტაჟირება დაიწყო 2023 წლის 10 სექტემბრიდან.

განმცხადებელი მომართავს საბჭოს სტაჟირების ვადის ათვლა დაიწყოს 2023 წლის 10 სექტემბრიდან. განცხადებას თან ერთვის სტაჟირების ხელმძღვანელ - ნინო ამაღლობელის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დგინდება, რომ სალომე გოგლიძემ სტაჟირება დაიწყო 2023 წლის 10 სექტემბერს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სალომე გოგლიძის განცხადება და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ვადის ათვლა დაეწყოს 2023 წლის 10 სექტემბრიდან.

(დ) ინეზა წოწონავას განცხადებას სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისგან გათავისუფლების შესახებ.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განგრძობადი იურიდიული განათლების წესები ითვალისწინებს შეღავათს წევრებზე, რომლებიც განცხადებით მომართვის შემთხვევაში, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გათავისუფლდნენ სავალდებულო კრედიტსაათების დაგროვების ვალდებულებისგან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ინეზა წოწონავას განცხადება.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე